პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 თებერვალი, სამშაბათი, 1985 წ.
№ 29 (7840) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდება წლის უმოკლესი თვის შემდეგ?

ფიქრები 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მოლოდინში

არც ერთ სპორტულ მოვლენას ისეთი მოუთმენლობით არ ველით, როგორც საფეხბურთო სეზონს. აღარ გვინდა ტრივიარული ფრაზეოლოგიის გამეორება, რომ ფეხბურთი სპორტის მეფეა, რომ გულშემატკივარი ღელავს და საათზე იხედება პირველი მარტის მოლოდინში. ეს ყველასათვის ცნობილია და, მოდით, სათქმელი „ტრადიციული“ შესავლის გარეშე დავიწყოთ. მით უმეტეს, რომ ფეხბურთს, — ჩვენს ფეხბურთს ვგულისხმობთ, — პრობლემები მოუმრავლდა და სეზონისწინა პაუზა ძალაც რომ შესაფერისი დროა ზოგი მათგანის ფართო სამსჯავროზე გამოსატანად.

ახალი სეზონი ალბათ ერთ-ერთი ურთულესი იქნება ქართული ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი და აქვე ისიც ვთქვათ, რომ სხვა გუნდებიც ასეთივე სირთულის წინაშე დგანან და მარტო თბილისისა და ქუთაისის კოლექტივებს არ მოუწევთ დამატებითი პრობლემების გადაჭრა. ეს „დამატებითი“ სიძნელე, რომ იტყვიან, მოულოდნელად დაგვატყდა თავს. მოგეხსენებათ, ახალი დებულების მიხედვით, ამ სეზონში ორი გუნდი ძველებურად, ტრადიციულად დატოვებს უმაღლეს ლიგას. ამიერიდან შეიძლება მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილებზე გასულმა კოლექტივებმაც გაიზიარონ მათი ბედი, თუკი დამატებით ტურნირში ვერ გატეხეს პირველ ლიგაში გამარჯვებული ორი პატივმოყვარე გუნდის წინააღმდეგობა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ „დაჩაგრულთა“ შორის წინასწარ ვიგულისხმოთ ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივები; მაგრამ თუნდაც მათ ასეთი ხვედრი თეორიულადაც არ ემუქრებოდეთ, ჩემპიონატში მაინც უკიდურესად გამძაფრდება ბრძოლა ყველა გუნდს შორის. შესაბამისად, ოქროს ფასი დაედება თითოეულ ქულას, ხოლო მოგება — წაგება — ფრეს გრადაციამ შესაძლოა მეტად სერიოზული კორექტივები შეიტანოს ამა თუ იმ გუნდის ბალანსში. ჯერ არავინ იცის, რა გავლენას მოახდენს თითოეული გუნდის ფსიქოლოგიაზე ეს მოულოდნელი სიახლე, რა დამატებით რეზერვებს გამოძებნიან მწვრთნელები და მოთამაშეები, რათა შემთხვევით არ აღმოჩნდნენ უიღბლოთა შორის.

ახალი დებულება დემოკრატიულია იმ მხრივ, რომ იგი ერთგვარად ათანაბრებს ყველა გუნდის შანსებს. როგორც ჩანს, ფეხბურთისათვის ტრადიციულად ნიშანდობლივ კომპონენტებთან — ტექნიკასთან, ტაქტიკასთან, ფიზიკურ მომზადებასთან ერთად გაცილებით მეტი მნიშვნელობა დაეკისრება სუბიექტურ ფაქტორებსაც. ესაა, უწინარეს ყოვლისა, კოლექტივის ფსიქოლოგიური სიმტკიცე, საბრძოლო სულისკვეთება, ყოველ მატჩში, ყოველ სათამაშო ეპიზოდში შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ბრძოლა, ნებისმიერ გუნდთან, მათი რანგის მიუხედავად, ერთნაირი სიმამაცით, შეუპოვრობითა და გამეტებით ჭიდილი... ეს იქნება, ვიმეორებთ, უმძიმესი და ურთულესი ჩემპიონატი და ამიტომ მისთვის სამზადისიც განსაკუთრებული უნდა იყოს; მერე, წარუმატებლობის შემთხვევაში, გვიან იქნება თითზე კბენანი და ახალი დებულების კრიტიკა საკუთარი შეცდომების გასამართლებლად.

ჯობს თავიდანვე ასეთი პასუხისმგებლობით განვეწყოთ სამომავლო ამოცანებისადმი, თავიდანვე სწორად განვსაზღვროთ და შევაფასოთ მარათონული ჩემპიონატის გზა, ვიდრე ამაო აღტაცებასა და დითირამბებს ავყვეთ. დაცდილიცა გვაქვს: რაც უფრო რეალურად, სანტიმენტების გარეშე გავყურებთ ხოლმე გუნდთან (ამ შემთხვევაში — გუნდებთან) ერთად სამომავლო სავალს ანუ ჩემპიონატს, რაც უფრო ზუსტად ვაფასებთ ჩვენსა და მეტოქეების შესაძლებლობებს, მით უფრო წარმატებულია ხოლმე ხვალინდელი დღე. ზემოთ ნათქვამი წარმატება-წარუმატებლობის შესახებ მხოლოდ თეორიული მსჯელობაა და მეტი არაფერი. მაგრამ თეორია იმატომაც არის თეორია, რომ მისგან პრაქტიკული ღირებულების გაკვეთილები გამოვიტანოთ.

თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ მალე შეუერთდებიან იმ თვრამეტგუნდიანი მატარებლის შემადგენლობას, რომელსაც გაუძღვება საბჭოთა კავშირის 48-ე ჩემპიონატის ლოკომოტივი. ყველა გუნდი, როგორც მახვილგონივრულად შენიშნა ამას წინათ ერთ-ერთმა მწვრთნელმა, აბსოლუტურად თანაბარ მდგომარეობაშია სეზონის წინ და თითოეულის მარიფათზეა დამოკიდებული, რა ადგილი დარჩებათ მათ ძნელი სეზონის დასასრულს. სეზონის წინა პერიოდს ოპტიმისტური განწყობილება უფრო შეეფერება. და, მოდით, ჩვენც იმედის თვალით გავხედოთ მერმისისაკენ. ჩემპიონატის დაწყებამდე ხომ ასე ცოტა დრო დარჩა, თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თებერვალი წლის ყველაზე მოკლე თვეა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

ნახევარი გუნდი და... ცოტა მეტი

ჩვეულებრივ, სპეციალისტთა კომენტარს ამა თუ იმ მატჩის შესახებ ჟურნალისტები წერილს ბოლოში დაურთავენ ხოლმე. ახლა „წესს“ დავარღვევთ. ალმაათელ და თბილისელ თანაკლუბელთა შეხვედრის შემდეგ არც ერთ სპეციალისტს ამ მატჩის თაობაზე განსხვავებული აზრი არ ჰქონია. „ეს იყო უაღრესად დაძაბული და დრამატული თამაში, რომელშიც ერთ-ერთი მეტოქის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იქნებოდა— ასეთია ერთსულოვანი დასკვნა. მართალია, თბილისელებმა მატჩის პირველი პერიოდი სიტუაციის მოულოდნელი შეცვლის გამო წააგეს — ალმაათელები წინ იყვნენ უკვე მეხუთე წუთზე —3:0. მაგრამ ჩვენმა დინამოელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს. თამაში თანდათან ისე აეწყო, როგორც გუნდს ჰქონდა დაგეგმილი. ჩანაფიქრი კი ასეთი

იყო: როგორც კი მეტოქე შეტევას წამოიწყებდა, თბილისელები ზონალური დაცვიდან სწრაფად გადადიოდნენ ტოტალურ პრესინგზე. ხელსაყრელ მომენტში კარიდან თამამად გამოდიოდა მიხეილ გიორგაძე და, როგორც მცველი, ცენტრს უვნებელყოფდა.

ალმა-ათის „დინამო“ სახელოვანი კოლექტივია, ამ გუნდში თამაშობენ შესანიშნავი წყალბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ერლან იაპბერგენოვი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ასკარ ორზალინოვი და პაველ ვოლკოვი. თბილისელთა ტაქტიკური ვარიანტი მეტოქის ძალების გაანგარიშებაზე იყო აგებული. ჩვენმა გუნდმა პირველ პერიოდში ვერ შეძლო დასახული ამოცანის შესრულება. მეტოქემ კარგად აუღო ალღო მასპინძელთა ჩანაფიქრს და, თბილისელებისთვის მოულოდნელად, მატჩის მსვლელობა მთლიანად თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ჩვენი ბიჭების რამდენიმე შეტევა ძელმა მოიგერია. განსაკუთრებით მოუხელთებელნი იყვნენ ვოლკოვი და ორზალინოვი.

მეორე პერიოდში სურათი შეიცვალა — მასპინძლები მაღალი ტემპით თამაშობდნენ. მჭიდროდ მეურვეობდნენ იერიშზე გადასულ მეტოქეს და მესამე პერიოდში მატჩი უკვე სასურველ კალაპოტში მოაქციეს. ეს პერიოდი თბილისელებმა მოიგეს კიდეც — 3:1, მაგრამ საერთო ანგარიშით წინ მაინც სტუმრები იყვნენ. ჩვენმა გუნდმა ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ ბოლო პერიოდის დასაწყისში შეძლო — 6:6. ამ მომენტიდან დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. მეტოქის ერთ-ერთი შეტევისას გიორგი ზუმბულიძე, რომელიც დაცვაში ჩინებულად თამაშობდა, მსაჯმა მოედნიდან გააძევა. ალმაათელებმა რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენეს და ისევ დაწინაურდნენ. თბილისელებმა ამ გოლის გაქვითვაც შეძლეს. ოთხმეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა თამაზ კუტივაძემ. საბოლოოდ — 7-7. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მეკარემ მიხეილ გიორგაძემ ეს მატჩიც შესანიშნავად ჩაატარა — თოთხმეტი პირდაპირი დარტყმა მოიგერია. წყალბურთში კარგი მეკარე ნახევარი გუნდიაო, ამბობენ. გიორგაძემ კი დაამტკიცა, რომ ხშირად კარგი მეკარე ნახევარი გუნდიცაა და ცოტა მეტიც. ალბათ ამიტომ არის გიორგაძე მიწვეული საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის ძირითად მეკარედ. აქვე გეტყვით, რომ თბილისის ტურის დამთავრებისთანავე გიორგაძე ავსტრალიაში გაემგზავრა, სადაც საბჭოთა ნაკრები ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს ჩაატარებს. წყალბურთში ქვეყნის ჩემპიონატი კი 15 მარტს განახლდება. თბილისის „დინამო“ მეორე წრის სხვა მატჩებს ტაშკენტში ითამაშებს. აქ იგი შეხვდება ხარკოვის „ლოკომოტივს“, ლვოვის „დინამოს“ და მოსკოვის „დინამოს“, შემდეგ ცხადდება შესვენება და ჩემპიონატი 25 ოქტომბრიდან განახლდება კიევსა და ბაქოში.

რამდენიმე სიტყვა თბილისის ტურის შესახებ. მეორე წრის სასტარტო მატჩებში ჩვენი დინამოელები ურიგოდ არ გამოსულან. ისევე როგორც ბაქოელმა მეზღვაურებმა, თბილისელებმა ყველაზე მეტი — 7 ქულა დააგროვეს და, 19 ქულით მეოთხე ადგილზე არიან. ჩვენმა გუნდმა წარმატებით შეასრულა პროგრამა-მაქსიმუმი — შემდეგ ეტაპზე გარკვეული მარაგით იბრძოლოს უძლიერესთა ექვსეულში მოსახვედრად. ერთთვიან შესვენებას გუნდი ალბათ მაქსიმალურად გამოიყენებს, რათა საბოლოოდ დახვეწოს მისთვის ჩვეული ხელწერა, კვლავ დაიბრუნოს ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივის სახელი.

კვირას დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **თბილისი.** ცსკა ვმფ-ი — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 8:6, კკფ (ბაქო) — „მეხნატი“ (ტაშკენტი) 14:7. **კიევი.** მოსკოვის „უნივერსიტეტი“ — „დინამო“ (ლვოვი) — 9:5; „მოსკვიჩი“ — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 8:7; „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 15:6. თბილისსა და კიევში გამართული მეორე წრის მატჩების შემდეგ გაირკვა, რომ მოსკოვის „დინამოს“ უკვე მოპოვებული აქვს ადგილი ფინალურ ექვსეულში. დანარჩენ ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ: ალმა-ათის „დინამო“, მოსკოვის „უნივერსიტეტი“, თბილისის „დინამო“, ბაქოს კკფ, ცსკ ვმფ-ი, „მოსკვიჩი“, ლენინგრადის „ბალტიკა“, კიევის „დინამო“ და ლვოვის „დინამო“. ხარკოვის „ლოკომოტივს“ და ტაშკენტის „მეხნატს“ ექვსეულში მოხვედრის ყოველგვარი იმედი გადაეწურათ.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

სურათებზე: (ზემოთ) სწორედ ის მომენტია ასახული, როცა მიხეილ გიორგაძე ოსტატურად იგერიებს მეტოქის მიერ დარტყმულ ბურთს; ქვევით — თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა XVI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. ოთხი დღის განმავლობაში ჭიდაობის მოყვარულნი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ტატამის ცნობილ ოსტატთა პაექრობას. რვა წონითი კატეგორიიდან ოთხში პირველობა არავის დაუთმეს ქართველმა ათლეტებმა, საქართველოს ნაკრების აქტივში კიდევ ორი ვერცხლის და სამი ბრინჯაოს მედალია. (იხ. მე-2 და მე-3 გვ.)

ინფორმაცია

გიოტებორგი. ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მათ მოიპოვეს ორი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. ასპარეზობის ბოლო დღეს ცეკვებში ევროპის ჩემპიონი გახდა საბჭოთა დუეტი — ნატალია ბესტემიანოვა და ანდრეი ბუკინი. ერთი თვის შემდეგ ტოკიოში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი.

ოსლო. ოთხწლიანი შესვენების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა ბურთიან ჰოკეიში დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ფინალურ მატჩში მან შვეციის ნაკრები დაამარცხა — 5:4.

სორომადე! დასრულდა ყველაზე მსუბუქი წონის ძიუდოისტთა ფინალური ორთაბრძოლა და მასთან ერთად — თბილისის საერთაშორისო ტურნირიც. ბოლო დღეს საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ხაზრეტ ტლეცერი და ალექსანდრ ტარასოვი. საქართველოს ნაკრებს ნამდვილად შეეძლო კიდევ ერთი „ოქროს“ მოპოვება აბსოლუტურ კატეგორიაში, მაგრამ საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის გენადი კალეტკინის რჩევით აკაკი კიბორძალიძე და მალხაზ ბერუაშვილი შეგნებულად გაარიდეს ამ შეჯიბრებას — მათი ადგილი მთავარ ნაკრებში სავსებით გარკვეულია და ზედმეტი რისკი ალბათ აღარ იყო საჭირო.

მიუხედავად ამისა, ჩვენი გუნდისთვის ტურნირი საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა — ოთხი პირველი ადგილი, ორი — მეორე და სამი — მესამე. სპორტული შედეგების თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა, მაგრამ სპეციალისტებსაც და, სხვათა შორის, მაყურებლებსაც ასეთ ტურნირებში არანაკლებ აინტერესებთ მეორე მხარეც: როგორი მდგომარეობაა გუნდში სამომავლოდ, გვყავს თუ არა უკვე აღიარებული ლიდერების შემცვლელნი, გამოჩნდა თუ არა სპორტსმენი, ვისაც ორი-სამი წლის მერე მაინც დიდი შეჯიბრებების ჩემპიონად დავიგულებთ. რა თქმა უნდა, სპორტის ნებისმიერ სახეობაში მოქმედებს და გამართლებულიც არის ამგვარი, ეგრეთ წოდებული „სახვალიო პრინციპი“, მაგრამ ძიუდოში ჩვენ განსაკუთრებული პრეტენზიები გვაქვს და, რომ იტყვიან, ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოვიბათ,

რათა არაფერი მოვაკლოთ წვითა და დაგვით მოპოვებულ სახელს


ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენის ძალა, უწინარეს ყოვლისა, შედეგით იზომება, თუმცა ანალიზისას უეჭველად უნდა მიექცეს ყურადღება ტურნირის კოეფიციენტსაც — სხვაა უძლიერესებთან დავაში მოპოვებული გამარჯვება და სულ სხვა — სუსტი შემადგენლობის შეჯიბრებაში მიღწეული შედეგი. ამიტომ, რათა არც თავი მოვიტყუოთ და არც სხვებს ავურიოთ გზა-კვალი, ამ შედარებით ობიექტური პრინციპით გადავხედოთ წლევანდელ ტურნირს.

დავიწყოთ მძიმე წონით. აქ შოთა ჩოჩიშვილისა და ჯიბილო ნიჟარაძის შემდეგ გაჩენილი სიცარიელე ნაწილობრივ შეავსო აკაკი კიბორძალიძემ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ძიუდოისტი ჯერჯერობით მესამე ნომრად ითვლება ბიქტაშევისა და ვერიჩევის შემდეგ. ნუგზარ დავითაშვილსა და ავთანდილ გუბელაძეს კი ამ სამეულის მეტოქეობამდე ჯერ ბევრი უკლიათ.

95 კილოგრამი. ამ წონაში ლიდერობა, როგორც ჩანს, კარგა ხნით გვაქვს გარანტირებული. მალხაზ ბერუაშვილი დღეს უდავოდ უძლიერესია ჩვენს ქვეყანაში და შესაძლოა საერთაშორისო მასშტაბითაც. ეს არის, ახალგაზრდა სპორტსმენს მეტი მუშაობა დასჭირდება ჩოქბჯენში ჭიდაობის ტექნიკის ასათვისებლად და მეტი მოთმინებაც უნდა გამოიჩინოს იმ პერიოდებში, როცა რესპუბლიკის სახელით მოუწევს სხვადასხვა ქვეყნებში შეკრება-შეჯიბრებებზე ყოფნა. შესანიშნავად იჭიდავა კობა კურტანიძემ, დიდ იმედებს იძლევა მალხაზის ძმა გელა. რა თქმა უნდა, საბოლოო სიტყვა არ უთქვამს ბორის გოგიჩაიშვილსაც.

დავით ბოდაველმა სრულიად განსხვავებული სტილი დაამკვიდრა ძიუდოში. ამ მართლაცდა მომხიბლავ, ვაჟკაცურ მანერას დღესაც ბევრი მიმდევარი ჰყავს, მაგრამ 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოპოვებულ წარმატებებს ბოდაველი, ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარ სტილს არ უნდა უმადლოდეს. ნიჭი და შრომისმოყვარეობა იყო მისი გამარჯვებების საიდუმლო. ჯემალ მჭედლიშვილსა და ბორის ფირცხელანს ჭიდაობის აბსოლუტურად განსხვავებული მანერა აქვთ, მაგრამ სპორტული მონაცემების წყალობით მათი სახელოვანი წინამორბედის ღირსეულ მემკვიდრეებად ნამდვილად უნდა მივიჩნიოთ.

78 კილოგრამი. სამწუხაროდ, აქ შოთა ხაბარელის ტოლი და სწორი არც გვყავს და, საფიქრებელია, რომ მოკლე ხანში არც გვეყოლება. ოლიმპიურ ჩემპიონს კი, ბუნებრივია, თანდათან უჭირს მოძალებულ მეტოქეებთან მარტოდმარტო გამკლავება.

ძლიერი ძიუდოისტების მთელი გუნდი გვყავს 71 კილოგრამ წონით კატეგორიაში: თამაზ ნამგალაური, ლერი ნაკანი, გიორგი თენაძე. თითოეულ მათგანს შესწევს საიმისო ძალა, რომ წარმატებით დაიცვას საქართველოს სპორტული ღირსება ნებისმიერ ტურნირში.

რამაზ მარგველანი ეს რამდენიმე წელია ჭეშმარიტად უძლიერესია 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა საკავშირო, სასპარტაკიადო თუ სხვა ტურნირებში. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში კი საბჭოთა კავშირის ნაკრების კიმონოს ნიკოლაი სოლოდუხინი იცვამს. რა თქმა უნდა, ამ შესანიშნავი სპორტსმენის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, პირველი ნომრის შერჩევისას ნაკრების მესვეურებს წმინდა სპორტული პრინციპებით ეხელმძღვანელათ. ერთია ძველი დამსახურება, სულ სხვა — დღევანდელი სპორტული შესაძლებლობანი. ახალ ოლიმპიურ ციკლში მარგველანის შანსებმა კიდევ უფრო იმატა და, იმედია, ბოლოს და ბოლოს სამართალი პურს ჭამს. ამ წონაში გიორგი ნაცარაშვილის სახით საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი საიმედო ძიუდოისტი შეემატა.

ყველაზე მსუბუქი, 60 კილოგრამი წონითი კატეგორია წლების მანძილზე ჩვენი ყველაზე მოწყვლადი ადგილია. მით უფრო სასიხარულოა ჩვიდმეტი წლის ვახტანგ ჯაფარიძის გამოჩენა. თუმცა ორ-სამ წელიწადში ზემო წონაში სავსებით მოსალოდნელი გადანაცვლების შემდეგ შესაძლოა საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს ძველი პრობლემა ისევ პრობლემად დარჩეთ.

დაახლოებით ასეთია შინაური კაცის თვალით დანახული ჩვენივე შინაური ვითარება. მომავალი დიდი შეჯიბრებების წინ მკითხველს უთუოდ აინტერესებს საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელთა გეგმებიც — მთავარ გუნდში ხომ რამდენიმე ადგილს ქართველი ძიუდოისტები იკავებენ ხოლმე. თბილისის საერთაშორისო ტურნირი ისე არ ჩაივლის, ნაკრების უფროს მწვრთნელს გენადი კალეტკინს არ გავესაუბროთ. ტრადიცია არც ამჯერად დაგვირღვევია.

● ევროპის ჩემპიონატამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. როგორია გუნდის სავარაუდო შემადგენლობა?

— ზუსტად ეგ აპრილისთვის გვეცოდინება, როცა მოვითავებთ სამ საერთაშორისო ტურნირს, ჯერჯერობით კი თითოეულ წონაში ორ-სამ სპორტსმენს ვვარაუდობთ: მძიმე — ვერიჩევი, ბიქტაშევი, კიბორძალიძე; 95 — ბერუაშვილი, დივისენკო, კურტანიძე; 86 — პესნიაკი, სივცევი; 78 — შესტაკოვი, მერკულოვი, ხაბარელი; 71 — ნამგალაური, გორიჩევი, ნაკანი; 65 — მარგველანი. შესაძლოა რამაზი საერთაშორისო ტურნირებში 71 კილოგრამ წონაში გამოვიყვანოთ. ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე არ გვინდა წონაში დაკლებით ვაწვალოთ; 60 — ტლეცერი, ჟუჩკოვი.

● თბილისის ტურნირში უთუოდ დაადგით თვალი რამდენიმე ახალგაზრდა სპორტსმენს.

— რა თქმა უნდა. გარდა იმისა, რომ შესამჩნევად გაიზარდნენ თენაძე და შესტაკოვი, სულ ახალბედებიც აღმოვაჩინე, ყოველ შემთხვევაში, მათი სახელები ძიუდოს სამყაროში აქამდე უცნობი იყო. ძალიან მომეწონა ლენინგრადელი ნოვიკოვი და თქვენი ფირცხელანი. სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჯაფარიძემ. ჩვიდმეტი წლის ასაკში ასეთი საზრიანი ჭიდაობა ბევრს ნიშნავს. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ეს ბიჭი სულ მალე ჩამოყალიბებული, ნამდვილი ძიუდოისტი იქნება.

● „ოქროსა“ და „ბრინჯაოსთვის“ ბრძოლის ხანგრძლივობის შემცირებაზე და, საერთოდ, სხვა ცვლილებებზე რას იტყოდით?

— შეიდიდან ხუთ წუთზე ჩამოსვლა ჩვენ ნამდვილად არ გვაძლევს ხელს თუნდაც იმიტომ, რომ ფიზიკურ მომზადებაში აშკარად ვჯობივართ სხვებს. უთუოდ აჩქარდნენ საერთაშორისო ფედერაციაში, როცა გააუქმეს მუცელზე გდების „კოკათი“ შეფასებაც. უამრავმა ეფექტურმა ილეთმა, რომლებიც მეტოქის მუცელზე დავარდნით მთავრდება, ახლა ფასი დაკარგა. დროული და საჭიროა სამედიცინო დახმარებისთვის ექიმის ტატამზე მოხმობის შეზღუდვა. ახლა სპორტსმენს ერთხელ შეუძლია მიმართოს ექიმს, მეორე გამოძახებაზე მსაჯებს შეხედულებისამებრ უფლება აქვთ დამარცხება ჩაუთვალონ ძიუდოისტს. ეს ახალი წესი ბევრს ამოუქოლავს სიმულაციის ხვრელს.

● ანარჩუნებს თუ არა კლასიკური ძიუდო თავის პოზიციებს, ანდა, უფრო მარტივად, საით მიდის ძიუდო?

— ადრე ერთობ თვალში საცემ იყო განსხვავება იაპონურ და და ნარჩენი ქვეყნების წარმომადგენ ლთა ჭიდაობის მანერაში. თანდა თან ევროპაშიც და ჩვენშიც ძიუ დომ ტაქტიკური თუ ტექნიკურ თვალსაზრისით ახალი შეფერილ ობა შეიძინა. იაპონელებმაც მიაქ ციეს ყურადღება ამ ფაქტს. ახლ მიმდინარეობს ეგრეთ წოდებულ ნიველირების პროცესი. თანდათ იკვეთება სამომავლო პერსპექტი ვაც. სანამ იაპონიაში ერთმანეთ ებრძვის ორი — ტრადიციული დ ახალი მიმდინარეობა, დანარჩენ სამყაროში ჭიდაობის ეს სახეობ გოლიათურ ნაბიჯებს დგამს. დღე დაბეჯითებით შეიძლება ითქვა რომ ძიუდოს ფუძემდებელთა ჰე გემონიას წყალი შეუდგა. და მალ ალბათ რაიმე უპირატესობაზე ლა პარაკიც კი ზედმეტი იქნება.

და მაინც, მიუხედავად ნაკრებ უფროსი მწვრთნელის ასეთი გა ცხადებისა, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს და გულდასმით იქნება საჭირო ძიუდოს იაპონური ფენო მენის შესწავლა. საქმე აქ მარტო სპორტულ წარმატებებში არ არის იაპონელ ძიუდოისტებს ვამარცხე ბდით და მომავალშიც დავამარც ხებთ, სავსებით ნათელია, რომ ის ინი უძლეველნი არ არიან, მაგრამ მთავარია ამ სპორტულ წარმატ ებებს მიღმა არ დაგვრჩეს ძიუდო მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან — ეთიკური მხარე. ძიუდოს, რო გორც სპორტის სახეობის ერ ერთი მთავარი ამოცანა საერთოდ ადამიანის, მოქალაქის და არა მხო ლოდ ჩემპიონის აღზრდაა. ამ მხრივ ამომავალი მზის ქვეყნის წა რმომადგენლები მართლაც რომ სა ნიმუშონი არიან, ისინი ურყევად იცავენ ჭიდაობის ამ სახეობის ყვე ლა კანონსა თუ მოთხოვნას, ერთ შეხედვით წვრილმანებსაც კი — მისალმებიდან დაწყებული, ტატა მიდან გასვლით დამთავრებული — და მხოლოდ მოვიგებთ, თუ ჩვენ მწვრთნელების შემწეობით არც ამ სფეროში დავუდებთ მათ ტოლ

ირაკლი ბერიაშვილი.



ვინც ამ დღეებში ძიუდოს საერთაშორისო ტურნირს ესწრებოდა, სპორტის სასახლეში ერთ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეამჩნევდა: სპორტსმენთა ორთაბრძოლები ზედმიწევნით ზუსტად და ეფექტურად აისახებოდა ფერად ელექტროტაბლოზე, რომელიც მხოლოდ ძიუდოისტებისთვის არის განკუთვნილი და ჯერჯერობით ერთადერთია საბჭოთა კავშირში.

ტაბლო საქართველოს სპორტკომიტეტის შეკვეთით დაამზადა ტრესტ „საქსპორტრემშენის“ № 5 სამმართველომ (უფროსი ალბერტ ფანჩვილაშვილი). ძიუდოს მსაჯების მითითებითა და კონსულტაციით ტაბლოზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი (პეტრე ჯავროვი, გიორგი ბოჟაძე, სერგეი ბოლდირევი და იგორ ფროლოვი).

სხვათა შორის, ამავე სამმართველოში შეიქმნა „დინამოს“ სტადიონისა და სპორტის სასახლის დიდი ელექტროტაბლოები. სამმართველო უამრავ შეკვეთას ღებულობს და მსგავს ტაბლოებს ამზადებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ბევრი სპორტული დარბაზისა და სტადიონებისათვის.

60 კგ. I. ხაზრეტ ტლეცერი (სსრ კავშირი).

II. აკირა იაძამა (იაპონია).

III. გრიგორი ფაუსტოვი (სსრ კავშირი).

III. იგორ ჟუჩკოვი (სსრ კავშირი).
აბსოლუტური. I. ალექსანდრ ტარასოვი (სსრ კავშირი).
II. სერგეი ტარანა (სსრ კავშირი).

III. გენადი იარემენკო (სსრ კავშირი).

III. პაკ ჩონ ჩოლი (კსდრ).

საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

ენით, ჯიუტად, თავგამოდებით

ან გამოსული პირველ-
ძმამ ჩაიხუტა გულში,
რთნელებმა, ცოტა ხნის
რამაზ მარგველანის გა-
ლოდ სვანურქუდიანი კა-
ენ. ეს მარგველანის არც
მარჯვებაა და, რა თქმა
უკანასკნელი. მაგრამ
წარმატება განსაკუ-
რომ გვიხარია, რომ ამ
რამაზი ჯიუტად,
ლამაზად და, რაც
ულით და გულით მი-

ამიერო რანგის შეჯიბრე-
ველ გულშემატკივარს
ველანის და მისი ლი-
ტოქის ნიკოლაი ხოლო-
ორთაბრძოლა აინტერეს-
ფინალური შეხვედრა
ტურნირსაც დაამშვენე-

ოლუხინს პირველად სა-
შევხვდი საბჭოთა კა-
რველობაზე და „იუკო-
ოკათი" დავამარცხე. იმ
ონი გავხდი. ორი თვის
ოკოვში მსოფლიო პი-
ეფეფოდა. მწვრთნელე-
მე შემიყვანეს. შე-
დაწყებამდე სამი დღით
თხრეს, რომ ჩემს ნა-
ოლუხინი ეჭიდავებოდა.
ვინმეს ეკითხა, რას
ნატვრისთვალი რომ
სოლოდუხინთან ჭიდა-
ვეტყოდი. ზუსტად ასე
ლე. მაგრამ, როგორც

ამბობენ, ჭიდაობისთვის თავი დაუნებებია.

● **როგორ დაიწყეთ ჭიდაობა?**

— მესტიის რაიონში, სოფელ კალაში ვიზრდებოდი. მახსოვს, ცამეტი წლის ვიყავი. ყანაში ვმუშაობდი. ვილაცეებმა გამოიარეს და მითხრეს, წამოდი გაჭიდაოთო. მანამდე არც ჩოხა მენახა, არც ჭიდაობა ვიცოდი. ქვემო სვანეთში წამიყვანეს. დიდები ჭიდაობდნენ. მეორე ადგილი დავიკავე. თასით დამაჯილდოვეს და ჩოხა მაჩუქეს. მესტიაში ჩემი პირველი მწვრთნელი რობინზონ ჯაფარიძე იყო. ათჯერ მოვიგე საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში და ძიუდოში.

● **ქართული ჭიდაობა ახსენეთ. იქნებ მოიგონოთ მასი ილეთით მოგებული რომელიმე შეხვედრა.**

— გერმანიაში, ევროპის დინამიადაზე რუმინელ ნიკოლაუს ვეჭიდავებოდი. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამი იყო დარჩენილი და „იუკოს" და „ვაზარის" ვაგებდი. მახსოვს, მეტოქე კისრულით წამოვიღე და „იპონით" გავიმარჯვე.

● **კიდევ რომელ შეჯიბრებაში მიიღებთ მონაწილეობას?**

— 14 თებერვალს საქართველოს ნაკრები იტალიაში მიემგზავრება — დიდ საერთაშორისო ტურნირში გამოვალთ. მაისში ტაშკენტში საბჭოთა კავშირის თასი გათამაშდება. მაისშივე ევროპის პირველობა მოგველის.

ინტერვიუ გამარჯვებულებთან

რეში რებად თან

ოგრამით წონითი კატე-
ოუდოისტთა, ფინალური
ლო სანახაობრივი თვა-
ვერ დაიკვეხნიდა, ძა-
რგია კი ბლომად შეიწო-
წინ ოფლში გალურილი,
ობისაგან პირგამშრა-
ენაძე ზის და სიხარულს

ლში რომ გასულიყო, იუ-
ეუმა დაამარცხა თქვენი
ოარებული ფავორიტები
ვი და გორიჩევი. ცოდვა
ჯობს და, ფინალში არც
ნათ დიდი უპირატესობა
თ" გაიმარჯვეთ.

მუხაწოვი 65 კილოგრამ
მოდიოდა და ჩვენი წო-
ეგორიის ძიუდოისტები
არ იცნობენ. ერთმანეთს
შევხვდით და ორივე
ობდით. ალბათ ამიტომაც
ინტერესო იყო. ჩემი
ურამ პაპიტაშვილი
ადევნებდა თვალს ჩემს
ტოქეს და ფინალის წინ
როგორც უნდა მეჭიდავა.
ურსკელია. ძიუდოს კუ-
ლ კი ერთ-ერთი სახე-
ლია საბჭოთა კავშირში
ობისმიერი წარმომადგენე-
ლსთვის ანგარიშგასაწევი

● **თბილისის ტურნირზე ყოველთვის ძლიერი შემადგენლობა იყრიდა თავს. წლეულს კი ბევრი ფავორიტი არ ჩამოვიდა. გული ხომ არ გეთანაღრებათ ამის გამო?**

— ჩემს წონაში და 78 კილოგრამში ყველა ლიდერი გამოდიოდა. ასე რომ, მე და ვლადიმერ შესტაკოვს გული არ უნდა გვეთანაღრებოდეს. მისი არ ვიცი და, მე არავითარ უხერხულობას არა ვგრძნობ.

● **ფინალში გასასვლელად შეხვედრა ნამგალაურთან მოგიწიათ. ფსიქოლოგიური დატვირთვა ალბათ უფრო მატულობს, როცა თანაგუნდელს ეჭიდავებით.**

— მე ვიცი, რომ ძიუდოს ქართველ გულშემატკივარს, ჩვენს მაყურებელს ძალიან უყვარს თამაზ ნამგალაური. უყვარს მისი ლამაზი ჭიდაობისა და კაცობის გამო. მასთან ორთაბრძოლა ჩემთვის საპატიოც არის და საჩოთიროც. შეხვედრის დასაწყისში ორივე ვპასიურობდით და მსაჯებმა გაგვაფრთხილეს. მართალი გითხრათ, ჭიდაობა არც მერე მინდოდა, მაგრამ რას იზამ, სპორტი სპორტია... შეხვედრა მე მოვიგე და ფინალში გავედი. წუთის შემდეგ თამაზი მოვიდა და მითხრა, როგორი დგომი აქვს მუხანოვს, რა ილეთებს ფლობს კარგად და, საერთოდ, როგორ ჭიდაობს.

● **როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

— მალე ევროპის პირველობისთვის დავიწყებთ მზადებას. როგორც იცით, ჩემს წონაში გამოდიან თამაზ ნამგალაური და სერგეი გორიჩევი. ძნელი სათქმელია, როგორი იქნება მწვრთნელების გადაწყვეტილება — მოვხვდები თუ არა მათ გვერდით. აგვისტოში კი იაპონიაში ჩატარდება უნივერსიადა, რომლის პროგრამაში მასპინძლებმა პირველად შეიტანეს ძიუდო. მე ინსტიტუტი შარშან დავამთავრე და ამიტომ კიდევ შემიძლია უნივერსიადაზე გამოსვლა. თუ რისი შანსი მაქვს ამ დიდ შეჯიბრებაზე, ძნელი სათქმელია — იაპონელებს ხომ ამ წონაში ნაკანისი და ნისიდა ჰყავთ.

გამარჯვებულებს ესაუბრა
ნანა ჯოხარიძე.



ფიქრებში ჩაძირული, კოჭებამდე მაზარებში გამოხვეული ჯარისკაცები ტყისპირს მიუყვებიან.

საშინლად უჭერს ციმბირის ყინვა, დროდადრო არყისხეთა ტოტები გაიტკაცუნებს.

ხელმარჯვნივ მდინარე ობია. სწორედ მის ნაპირებს მიჰყვებიან ჯარისკაცები.

მათ შორისაა გივი ყალაბეგიშვილიც. იგი ოლეგ იგნატოვის გვერდით მიაბიჯებს. ოლეგი არხანგელსკის ოლქიდანაა, ამ ყინვაშიც მხნედ და ლაღად უჭირავს თავი.

გივიმ კარგად იცის, სად და რისთვის მიდის: საგანგებოდ გამოიძახეს. სამხედრო ეშელონის უფროსად ნიშნავენ, იმ ეშელონისა, რომელმაც ამ გახურებულ ომში ნოვოსიბირსკიდან კრასნოდარამდე უნდა ჩააღწიოს, აუცილებლად უნდა ჩააღწიოს!

გივი ყალაბეგიშვილი ქუთაისში გაიზარდა, შემდეგ მშობლებთან ერთად ბათუმში გადავიდა და სკოლა იქ დაამთავრა, სწავლობდა სუბტროპიკულ ტექნიკუმში. 1934 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ინსტიტუტი 1938 წელს დაამთავრა და იქვე, ბოტანიკის კათედრაზე დარჩა ლაბორანტად.

...1941 წლის 18 ივნისს გივი კომისარიატში გამოიძახეს და რამდენიმე თანაპოლკელთან ერთად ქალაქ ვოლსკის საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს. ბიჭებს ომმა გზაში მოუსწრო. საავიაციო სასწავლებელი ვოლსკის „კადეტთა კორპუსის" შენობაში იყო მოთავსებული. გივიმ წარჩინებით დაასრულა სასწავლებელი, მტერი კი უკვე სტალინგრადს მოადგა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე გივი მთავარსარდლობის სარეზერვო ჯგუფში ჩარიცხეს. ნოემბერში გამოიძახეს და მე-5 საავიაციო ბრიგადაში გაგზავნეს, ერთადგილიანი ავიაგამანადგურებელი „იაკ-7 ბ" ანდეს.

საავიაციო ბრიგადიდან გ. ყალაბეგიშვილი ციმბირში გადაიყვანეს, სადაც დიდი სარეზერვო-საავიაციო შენაერთი იქმნებოდა. გივის რამდენიმე სხვადასხვა მარკის საბრძოლო თვითმფრინავთან ჰქონდა საქმე. ციმბირში საავიაციო ქარხანასთან ერთად ევაკუირებული იყო საკონსტრუქტორო ბიუროც თვით გენერალური ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე იაკოვლევის მეთაურობით. გივის ბედნიერება ხვდა პირადად გასცნობოდა ამ კაცს, იაკოვლევი ხშირად ესაუბრებოდა ქარხნის მუშებს, ინჟინრებს, მფრინავ-გამომცდელებს, გულდასმით ინიშნავდა, ითვალისწინებდა თითოეული მათგანის შენიშვნებს, საბრძოლო „იაკებიც" თანდათან უმჯობესდებოდა.

და აი, 1944 წლის თებერვალში გივი რამდენიმე თანაპოლკელთან ერთად შენაერთის შტაბში გამოიძახეს...

მას ეშელონის უფროსად ნიშნავენ. ეშელონისა, რომელმაც ნოვოსიბირსკიდან კრასნოდარამდე, ფრონტის ხაზამდე უნდა ჩააღწიოს, აუცილებლად უნდა ჩააღწიოს. ავიაგამანადგურებლებით დატვირთული ეშელონი უნდა ჩაიყვანოს კრასნოდარში.

გამოძახების ადგილზე საჭირო საბუთები გააფორმეს, ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი, დაუნიშნეს თანაშემწენი (ყარაულის უფროსად — ოლეგ იგნატოვი).

ეშელონის გზა კი იოლი არ იყო. აი, როგორ იხსენებს მას თვით გივი ყალაბეგიშვილი: „ძნელად წარმოიდგენს კაცი იმ სიძნელეებს, რაც გზაში გადავიტანეთ. ფრონტისპირა ხაზს ვუახლოვდებოდით, როცა მტრის თვითმფრინავი დაგვესხა თავს, ერთი ვაგონი მწყობრიდან გამოვიდა, დაზიანდა თვითმფრინავიც, რომელიც ამ ვაგონზე იყო მოთავსებული. ჩვენ დაზიანებული თვითმფრინავი არ დაგვიტოვებია, დანიშნულების ადგილას ჩავიტანეთ დანარჩენ ოცდაცხრამეტთან ერთად, რისთვისაც სარდლობის მადლობა დავიმსახურეთ, თანაც, დავალების პირნათლად შესრულებისთვის რამდენიმე დღით საქართველოში გამიშვეს".

ომის დამთავრების შემდეგ გივი ყალაბეგიშვილი, 28 წლის ნაომარი ახალგაზრდა კაცი, მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა. მისი, როგორც ალპინისტის გზა ჯერ კიდევ ომამდე, ინსტიტუტში სწავლის დროს დაიწყო, მაგრამ ნამდვილ სპორტულ წარმატებებს გივიმ ომის შემდგომ წლებში მიაღწია, როცა არაერთი სასახელო ასვლა განახორციელა.

...გივი ყალაბეგიშვილი იხსენებს, რომ 1957 წელს მონაწილეობა მიიღო მწერალ ლევან გოთუას მიერ მოწყობილ „კავკასიონის ილიადაში", რომელიც ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიეძღვნა. ლაშქრობას ეწოდა „საგურამოდან — მყინვარწვერამდე".

ლაშქრობას გურამ თიკანაძე, ლევან სუჯაშვილი და გივი ყალაბეგიშვილი ხელმძღვანელობდნენ. წიგნში „მგზავრული კრიალოსანი" ლევან გოთუა მოგვითხრობს: „ცნობილმა მთამსვლელმა გივი ყალაბეგიშვილმა მწერლებს მაღალ მთიანეთში შესვლა მიულოცა და პირველი მთამსვლური საუბარი შეაწია", შემდეგ: „...ჯიუტად ავდრობს. ჩვენც ჯიუტად ველით გამოდარებას... გამოვყავით საიერიშო ჯგუფი და მაშველი რაზმი. და მიუხედავად ახალთოვლიანობისა, 25 სექტემბერს გადამწყვეტი შეტევა დავიწყეთ. ჯერ მხოლოდ საიერიშო ჯგუფი მიდის. იერიშს ხელმძღვანელობენ „ადგილის ვეფხვი" ლევან სუჯაშვილი და „გაჭირვების ტალკვესი" გივი ყალაბეგიშვილი..."



გაჭირვების ტალკვესი

ნარკვევი

1949 წლის აპრილში გივი ყალაბეგიშვილი ქუთაისის ტურისტთა ბაზის მეთოდისტად დაინიშნა. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ზამთრის ალპინისტურ ასვლაში მწვერვალ ცურუნგულაზე. 1954 წლის ზაფხულში მიიწვიეს პამირზე საქართველოს მთამსვლელთა პირველ ექსპედიციაში, რომელიც ოთარ გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო. ავიდნენ ექვსიათასიან მწვერვალზე.

1958 წელს მონაწილეობდა ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიციაში, რომელიც მწვერვალ ლენინის პიკზე მოეწყო. 1959 წელს ქართველმა მოსიმაღლეებმა ტიანშანზე ასვლა განიზრახეს. გივი ექსპედიციის უფროსის მოადგილედ მიიწვიეს. ეს ცდა, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა — ქართველმა მთამსვლელებმა მწვერვალზე ასვლა ვერ შეძლეს, რადგან დახმარების ხელი გაუწოდეს უბედურებაში ჩავარდნილ თურქმენ კოლეგებს.

1960 წელს გივი ყალაბეგიშვილი საქართველოს მთამსვლელთა პამირის ექსპედიციის უფროსის მოადგილე იყო. ექსპედიციამ ჩაატარა ალამის იქითა ქედის დიდი საკონკურსო ტრავერსი, რომელიც გამარჯვებით დაგვირგვინდა. გივი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს.

1970 წელს იგი საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა პამირის ექსპედიციის უფროსია, მიწვეულია საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთამსვლელთა ნაკრების მწვრთნელად. ექსპედიციის წარმატებით ჩატარებისთვის გივი ყალაბეგიშვილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის სიგელით დაჯილდოვდა.

1962 წელს აირჩიეს ქუთაისის საქალაქო ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ, რომელსაც შემდგომ მისი მოწადინებით ჩვენში აგრერიგად ცნობილი „ოქროს ჩარდახი" ეწოდა. დღეს ეს კლუბი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს კავშირში.

გივი ყალაბეგიშვილს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. 1975 წლიდან დღემდე იგი ქუთაისის კემპინგის დირექტორად მუშაობს, 1982 წელს, სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისთვის კემპინგის დირექტორი „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოვდა.

ზურაბ ნამიჭეიშვილი.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

თავგამოდებული დაცვის მიუხედავად

გასულ შაბათს მოსკოვის სასტუმრო „სპორტის" კონფერენცდარბაზში დამთავრდა კარპოვ-კასპაროვის მატჩის 8 თებერვალს გადადებული ორმოცდამერვე პარტია.

გთავაზობთ ამ პარტიის მსვლელობას.

კასპაროვი — კარპოვი



41. bc (ჩაწერილი სვლა) 41. ...ე:c5 42. ეd3 მფe7 43. მფg3 a5 44. მფf3 b4 45. ab ab 46. მფe4 ეb5 47. ეb3 ეb8 48. მფd5 მფf6 49. მფc5 ეe8 50. ე:b4 ეe3 51. h4 ეh3 52. h5 ეh4 53. f5 ეh1 54. მფd5 ეd1+ 55. ეd4 ეe1 56. მფd6 ეe8 57. მფd7 ეg8 58. h6 მფf7 59. ეc4 მფf6 60. ეe4 მფf7 61. მფd6 მფf6 62. ეe6+ მფf7 63. ეe7+ მფf6 64. ეg7 ეd8+ 65. მფc5 ეd5+ 66. მფc4 ეd4+ 67. მფc3. შავები დანებდნენ.

კასპაროვმა მოგების რეალური გეგმა მოძებნა. იგი მეფით მიუახლოვდა შავების გამსვლელ პაიკს ლაზიერების ფრთაზე, მოიგო იგი და მეფის ფრთის პაიკების ხელსაყრელი წყობაც შეინარჩუნა, პრეტენდენტმა კარგად გამოიყენა ორი ზედმეტი პაიკი, თუმცა კარპოვი შეუპოვრად იგერიებდა მუქარას. მაგალითად, ბოლოს მსოფლიო ჩემპიონმა ორჯერ „შესწირა" ეტლი, მაგრამ სასურველ პატს მაინც ვერ მიაღწია.

ეს იყო კასპაროვის მესამე გამარჯვება ამ მატჩში.

ამრიგად, კვლავ ლიდერობს ანატოლი კარპოვი—5:3 (+5—3=40).

გუშინ 49-ე პარტია არ შედგა. ტაიმ-აუტი აიღო კასპაროვმა. ეს პარტია გაიმართება 18 თებერვალს.

ჩემპიონმა წაიბორძიკა

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა 52-ე ჩემპიონატის XIII ტურში გულკომ სძლია ერთ-ერთ ლიდერს, ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონს სოკოლოვს. პეტროსიანმა მოუგო კუპრეიჩიკს, სმაგინმა — მიხალჩიშინს. დაზავდნენ გელერი — ტუკმაკოვი, სვეშნიკოვი — ჩერნინი და ეინგორნი — ლპუტიანი. გადაიდო პარტიები: გურგენიძე — აგზამოვი, ბალაშოვი — ფსახისი და გურევიჩი — გავრიკოვი.

ამ დღეს, დილით, გურგენიძე შეხვდა ფსახისს გადადებული პარტიის დასამთავრებლად, მაგრამ ბრძოლა კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

13 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ვიაჩესლავ ეინგორნი (ოდესა) — 8 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ვიქტორ გავრიკოვი (ვილნიუსი) — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ანდრეი სოკოლოვი და სერგეი სმაგინი (ორივე — მოსკოვი) — 7,5-7,5.

ბუხუტი გურგენიძეს 5,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

ინგლისი

დიდთოვლობამ კვლავ შეიტანა კორექტივები ეროვნული პირველობის მსვლელობაში. 9 თებერვალს ჩემპიონატის ოთხ ლიგაში 25 მატჩი გადაიდო. განსაკუთრებით „დაზარალდა" I დივიზიონი, სადაც მხოლოდ ორი შეხვედრის ჩატარება მოხერხდა. საინტერესოდ წარიმართა „ნიუკასლ იუნაიტედისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩი. თავდაპირველად სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ თამაშის მიწურულს ნიუკასლელთა თავგამოდებული შეტევები საპასუხო გოლით დაგვირგვინდა — 1:1. „ნოტინგემ ფორესტმა" შინ ანგარიშით 2:0 მოუგო ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს". ეს იყო და ეს. სატურნირო ცხრილში კი ახლა ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	ბ.	ქ.
„ევერტონი" (ლივ.)	25	57:29	52
„ტოტენჰემი" (ლონ.)	25	51:27	48
„მანჩესტერ იუნ."	26	49:31	45

შოტლანდია

ამ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში ხუთივე დაგეგმილი მატჩი ჩატარდა. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა შეხვედრა აბერდინში, სადაც გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა, ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფ „ჰართ ოვ მიდლოთიენს" (ედინბურგი) უმასპინძლა. I ტაიმი „აბერდინის" სრული უპირატესობით წარიმართა, რაც ანგარიშშიც გამოიხატა — 2:0. შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: სტუმრებმა ჯერ ერთი გოლი გაქვითეს, შემდეგ კი მეორეც და ფრეს მიაღწიეს — 2:2. დაკარგული ქულის მიუხედავად, „აბერდინმა" კიდევ უფრო განიმტკიცა მოწინავე პოზიცია, ვინაიდან მისმა უახლოესმა მდევარმა, გლაზგოს „სელტიკმა", მარცხი იწვნია დანდიში, ადგილობრივ „დანდისთან" — 0:2. თამაშის ბედი ბოლო ათ წუთში გადაწყდა, როცა რეი სტივენმა და რობერტ კონარმა ზედიზედ ორჯერ აიღეს გლაზგოელთა კარი. აუტსაიდერების, ედინბურგის „ჰიბერნიენისა" და „მორტონის" შეხვედრა პირველის დამაჯერებელი გამარჯვებით დაგვირგვინდა — 5:1. (3 გოლი გაიტანა გორდონ ჯურიმ). დანარჩენი ორი მატჩი ფრედ დამთავრდა: „გლაზგო რეინჯერსი" — „დანდი იუნაიტედი" 0:0, „დამბარტონი"— „სენტ-მირენი" 1:1.

„აბერდინი"	26	61:19	42
„სელტიკი"	23	50:22	33
„გლაზგო რეინ."	26	33:23	31

გფრ

9 თებერვალს XIX ტურის დაგეგმილი ცხრა მატჩიდან მხოლოდ სამი შედგა — სტადიონების უმეტესობა თოვლის სქელი საბურველით იყო დაფარული. მაგრამ ტურის ცენტრალური შეხვედრა მაინც გაიმართა — ბრემენის „ვეზერშტადიონის" მინდორზე საასპარეზოდ გამოვიდნენ ადგილობრივი „ვერდერი" და ჩემპიონატის ლიდერი, მიუნხენის „ბაიერნი". საინტერესო მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:2. ბრემენელების რუდი ფიოლერის (2), უვე რაინდერსისა და გიუნტერ ჰერმანის ოთხ გოლს მიუნხენელებმა ნორბერტ ნახტვაიმ და როლანდ ვოლფარტმა ორი ბურთით უპასუხეს. ამ მოგების წყალობით „ვერდერმა" ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა „ბაიერნთან", რომლის პოზიციები სეზონის დამდეგს ურყევი ჩანდა. სენსაცია მოხდა ბრაუნშვაიგში: ადგილობრივმა „აინტრახტმა", რომელსაც ჯერ ჯერ უკვე შვიდი მატჩია არ მოუგია, დაამარცხა ქვეყნის ჩემპიონი „შტუტგარტი" (3:1) და თავი დააღწია ბოლო ადგილს. ორი ბურთი გაიტანა მასპინძელთა კაპიტანმა რონალდ ვორმმა, თითო — ფრანკ პლაგემ („აინტრახტი") და ჰერმან ოლიჰერმა, „კარლსრუესა" და დიუსელდორფის „ფორტუნას" შეხვედრა დამთავრდა ფრედ —2:2.

„ბაიერნი"	19	44:28	26
„ვერდერი"	19	56:33	25
„კიოლნი"	18	43:33	24

ესპანეთი

კვირას, 10 თებერვალს, ეროვნული ჩემპიონატის XXIV ტურში ყველაზე დიდი ანგარიში აღინუსხა ბარსელონაში, სადაც „ბარსელონამ" მურსიის „რეალს" მოუგო — 6:0. გოლები გაიტანეს ვიდალმა, მარკოსმა, შოტლანდიელმა არჩიბალდმა, ესტებანმა, დასავლეთგერმანელმა შუსტერმა (პენალტით) და კლორმა. ალიკანტეს „ერკულესი" უგებდა მადრიდის „ატლეტიკოს" (1:0), მაგრამ შემდეგ სანჩესმა (2) და კაბრერამ ზედიზედ სამჯერ დალაშქრეს მასპინძელთა კარი და 2 ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს — 3:1. სულ უფრო ცუდად თამაშობს მადრიდის „რეალი". ამ ერთ დროს სახელოვანმა გუნდმა ამჯერად თავის მინდორზე წააგო სარაგოსის „რეალთან" — 1:2. ანგარიში მადრიდელმა ბუტრაგენიომ გახსნა, მაგრამ თამაშის მიწურულს ჯერ ამარილიომ გაქვითა ეს გოლი, შემდეგ კი კორჩადომ გადამწყვეტი ბურთი შეაგდო. მიმომხილველთა აზრით, „რეალის" მწვრთნელი ამანსიო დიდხანს ველარ დარჩება ამ პოსტზე. ბილბაოს „ატლეტიკმა" შინ სძლია ბარსელონის „ესპანიოლს" (2:1), ხოლო „სევილია" ამავე ანგარიშით დამარცხდა პამპლონის „ოსასუნასთან". „ვალენსიამ" და „მალაგამ" ფრედ ითამაშეს — 1:1. დანარჩენი შედეგები: „რასინგი" (სანტანდერი) — „ელჩე" 2:0, „რეალი" (ვალიადოლიდი) — „ბეტისი" (სევილია) 3:1, „სპორტინგი" (ხიხონი) — „რეალ-სოსიედადი" (სან-სებასტიანი) 1:0.

„ბარსელონა"	24	55:17	40
„ატლეტიკო" (მად.)	23	35:18	31
„რეალი" (მად.)	24	28:23	27

ბელგია

XIX ტურში ლიდერმა, ბრიუსელის „ანდერლეხტმა" ქულა დაკარგა სტუმრად „ლიერსთან" (1:1), მაგრამ მაინც საგრძნობლად უსწრებს II ადგილზე მყოფ „ვარეგემს", რომელმაც „კორტრიიკი" დაამარცხა ამ უკანასკნელის მოედანზე — 2:0. საპრიზო ადგილის პრეტენდენტების, „გენტისა" და „ფკ ლიეჟის" მატჩი სტუმართა გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

„ანდერლეხტი"	19	61:17	33
„ვარეგემი"	19	42:24	28
„ფკ ლიეჟი"	19	35:18	26

მოკლედ

ლა-ვალეტა. გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (მეორე ევროპული ჯგუფი) მალტისა და პორტუგალიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1. პორტუგალიელთაგან გოლები გაიტანეს: მანუელმა და და გომეშმა (2). ერთადერთი საპასუხო ბურთი სტუმრების კარში გავიდა ფარუჯას უძლიერესი დარტყმის შედეგად.

ტამპა (აშშ, ფლორიდას შტატი). მსოფლიო ჩემპიონატის VI შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის მომავალმა მეტოქემ, შვეიცარიის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა აშშ-ის ეროვნულ გუნდთან. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში გახსნა ჰერმანმა (შვეიცარია). მეორე ტაიმში თანაფარდობა ანგარიშში ვან დერ ბეკმა აღადგინა.

ბოგოტა. კოლუმბიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩში დამარცხდა პოლონელებთან — 1:2.

გუაიაკილი. გდრ-ისა და ეკვადორის ფეხბურთელთა ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს — 3:2.

მონტევიდეო. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ურუგვაისა და პარაგვაის ეროვნული ნაკრები გუნდები. ამხანაგური მატჩი მასპინძლებმა — ურუგვაელმა ფეხბურთელებმა — 1:0. ერთადერთი გოლი შეხვედრის 70-ე წუთზე გაიტანა სამხრეთ ამერიკის 1984 წლის საუკეთესო მოთამაშემ ენცო ფრანჩესკოლიმ.

ფლორენცია. იტალიის ამ ქალაქში ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები შეხვდა ადგილობრივ „ფიორენტინას". ანგარიში 54-ე წუთზე გახსნა სტუმართა გუნდის წევრმა იანეჩკამ, რასაც 3 წუთის შემდეგ ფლორენციელმა ჯენტილემ გოლითვე უპასუხა. თამაშის მიწურულს, 88-ე წუთზე პულიჩიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და გამარჯვება მოუტანა „ფიორენტინას" — 2:1.

მოსტარი. ტრადიციულ „ოთხთა ტურნირში" მონაწილეობა მიიღეს ვენის (ავსტრია) „რაპიდმა" და იუგოსლავიის გუნდებმა — სპლიტის „ჰაიდუკმა", მოსტარის „ველეჟმა" და სარაევოს „ჟელეზნიჩარმა" (ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, მინსკის „დინამოს" მომავალი მეტოქეა უეფა-ს თასის გათამაშებაში). ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „რაპიდმა" და „ჟელეზნიჩარმა". ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პენალტები უკეთ დაარტყეს ავსტრიელმა ფეხბურთელებმა (3:2) და პირველი პრიზიც მათ ხვდათ. III ადგილზე გავიდა „ველეჟი", რომელმაც ანგარიშით 2:0 სძლია „ჰაიდუკს".



ვიარეჯო. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მოსკოვის „სპარტაკის" ახალგაზრდულმა გუნდმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ნაპოლი" (იტალია).

მსოფლიო ჩემპიონატის VI შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრების მეტოქემ, დანიის ეროვნულმა გუნდმა ამხანაგური მატჩი გამართა არგენტინის ქალაქ სან-სალვადორში მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან. შეხვედრა, რომელსაც 15 ათასი მაყურებელი დაესწრო, საინტერესო გამოდგა. ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა არგენტინელმა პონჩეტინომ, 9 წუთის შემდეგ კი ი. ჰანსენმა წონასწორობა აღადგინა — 1:1.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს ასეთი რამ შესთავაზა: 1987 წელს მოაწყოს მსოფლიო ჩემპიონატი 12 საუკეთესო საკლუბო გუნდს შორის. რა პრინციპით შეარჩიენ გუნდებს? 2 ადგილი დაეთმობა კლუბებს, რომლებიც 1986 წელს მოიპოვებენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასს, 6 ადგილი — ამ თასების ადრინდელ მფლობელებს. რჩება კიდევ 4 ადგილი. 3 გუნდს გამოიყვანს უეფა, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია და ფიფა, ხოლო ბოლო, მე-12 ადგილი განკუთვნილია თავად არგენტინელებისათვის.

ინფორმაცია

ჯაკარტა. ინდონეზიის დედაქალაქში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი „პრეზიდენტის თასზე". შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 15 ქვეყნის ათლეტები. პირველი ადგილი დაიკავა ოთხმა საბჭოთა მოკრივემ: ნევინომისკელმა იური ალექსანდროვმა, კუიბიშეველმა ვასილი შიშოვმა, მახაჩყალელმა ნურმაჰომედ შავაზოვმა და კოსტრომელმა სერგეი კობზევმა.

სარაევო. გდრ-ის სპორტსმენი ანდრეა შენე გახდა მსოფლიო ჩემპიონი ქალთა ციგურაობაში. მანვე მოიგო ოქროს ოთხი მცირე მედალი ცალკეულ დისტანციებზე გამარჯვებისათვის. შენემ 5000 მ რბენაში მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 7.32,82. მეორე და მესამე ადგილებიც გდრ-ის მოციგურეებს ხვდათ (გაბი შენბრუნს და საბინე ბრემს). მოსკოველი ოლგა პეშკოვა ამჯერად მეხუთე იყო.

საპორო. „მფრინავ მოთხილამურეთა" მსოფლიო თასის გათამაშებაში ლიდერობა ხელთ იგდო ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფინელმა მატი ნოკიანენმა. ივი მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს ავსტრიელ ანდრეას ფელდერს. გამარჯვება კი საპოროს დიდ ოლიმპიურ ტრამპლინზე იაპონელმა მასახირო აკიმოტომ მოიპოვა.

ბონი. მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს კვლავ გამოიჩინა თავი ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიჰაელ გროსმა. ამჯერად მან მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა 200 მ ბატერფლაის სტილით ცურვაში — 1.54,78.

ეკრანზე
და
ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 12 თებერვალი. ჭადრაკო სკოლა — 12.05 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში—20.30 (1).

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 თებერვალს.

რედაქტორი ა. გოგელია.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო 16 თებერვალს, 12 საათზე, თბილისში, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში (პლეხანოვის გამზირი № 182) აწყობს საკავშირო დაუსწრებელ კონკურს-დათვალიერების საკონტროლო სტარტს დევიზით: **„ვიმოძრაოთ ჯანმრთელობისთვის"**.

გიწვევთ ყველას!

საქართველოს მთიანი რაიონები თოვლის საბურველშია გახვეული. რა სჯობს ახლა ციგითა და თხილამურებით სრიალს: მხნეობასაც შეინარჩუნებთ, ჯანმრთელობასაც გაიკაჟებთ.

საქართველოს მთიან რაიონებში გახსნილ ცეკავშირის სისტემის სპორტულ მაღაზიებსა და სპორტსექციებში შეგიძლიათ შეიძინოთ ციგები და სხვადასხვა ზომის თხილამურები.

ცეკავშირის გამგეობა „საქკოოპრეკლამა".

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-28

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06003